INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

OPD04/15-010

21 აპრილი, 2015 წ.

საქართველოს მთავარ პროკურატურას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 22 დეკემბერს ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ მოგმართათ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით #OPD12/14–003, რომლითაც სხვა ინფორმაციასთან ერთად მოთხოვნილ იქნა სტატისტიკური მონაცემები 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში შესული განცხადებების/საჩივრების რაოდენობისა და მათზე დამდგარი შედეგების შესახებ. მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვეწოდა საქართველოს მთავრი პროკურატურის 2015 წლის 6 მარტის წერილით #13/13489. აღნიშნული კორესპონდენციის თანახმად 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში სულ შევიდა 10 379 განცხადება/საჩივარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ამჯერად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შედეგებით დასრულდა/რა მსვლელობა მიეცა მოცემულ 10 379 განცხადებას/საჩივარს, მათ შორის, რამდენ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რამდენ შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი, რამდენ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო, რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება, რამდენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და რამდენ შემთხვევაზე მიმდინარეობს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმის წარმოება. გთხოვთ, მოცემული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ცალ–ცალკე წლების მიხედვით.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,
გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი

Institute for Development of Freedom of Information
3, Al. Griboedov Street, 0108, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 292 15 14 · info@idfi.ge

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ალ. გრიბოედოვის ქ. № 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: +995 32 292 15 14 · info@idfi.ge

www.idfi.ge